

მარიამ მირესაშვილი¹
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.25>

პოსტტრავმული მეხსიერების მოდელები ქალური ნარატივის დისკურსში

აბსტრაქტი. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ; თუმცა დროის მიუხედავად, ზემოაღნიშნული მოვლენების ქრილში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კვლავაც აქტუალური განხილვის საგნად რჩება არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის, სოციოლოგებისთვის, არამედ ლიტერატორებისთვისაც. 1992-1993 წლების დრამატული მოვლენების ასახვას, როგორც დომინანტი ისე არადომინანტი ნარატივების სახით, არაერთი მწერალი შეეცადა. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია 1980-1990-ანი წლების თაობის ქართველი და აფხაზი ქალი-ავტორების ნარატივები, რომლებსაც *ომის თეატრი* არ უნახავთ; მათი მოთხრობები შეიძლება განვიხილოთ ტრავმული მეხსიერების ჩახშობის, *დავიწყების ნების* წინააღმდეგ მიმართულ აქტად, როდესაც ავტორები *იხსენებენ, გადააფასებენ* წარსულს და, ამასთან, წარმოაჩენენ ომის აქტორთა ამბივალენტურ ხასიათს. ქალური ნარატივის დისკურსში პოსტტრავმული მეხსიერების მოდელებს წარმოვაჩენთ აფხაზი და ქართველი ავტორების მოთხრობების კრებულზე - „მეხვედრა“ (2023 წ.) - დაყრდნობით, რომელმაც გააერთიანა ოთხი აფხაზი და ოთხი ქართველი ავტორი.

წიგნის წინასიტყვაობაში პროექტის ავტორები აღნიშნავენ, რომ ომი, როგორც ასეთი, ამ მოთხრობებში თითქმის არ გვხვდება; მაგრამ ყოველ მა-

¹ **მარიამ მირესაშვილი.** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

თგანში იგრძნობა, იკითხება როგორც ერთგვარი საშიში ფონი, როგორც შეუბრალებელი გამანადგურებელი ძალა, რომელმაც მომავალში ბევრი წლით განსაზღვრა ავტორების მსოფლმხედველობა. მართლაც, კრებულში წარმოდგენილ ავტორებს აერთიანებთ იდენტური პრობლემები, ანალოგიური კონცეპტუალური ხედვა ომთან/ტრავმულ მეხსიერებასთან მიმართებით, ქალური მწერლობისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი კონცეპტები, როგორებიცაა: არალინეალური თხრობა, შემეცნების ნაკადი, ღია ფინალი, ე. წ. ავტობიოგრაფიულობა თუ სუბიექტური ხედვის კუთხე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გარკვეული მახასიათებლების გადმოსაცემად. თუმცა, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზი და ქართველი ავტორების ქალურ ეპისტოლეებში ნიველირებულია ავტორთა სტილური მახასიათებლები; პირიქით, ქალი-ავტორები განსხვავებული სტილითა და თვალთახედვით წარმოაჩენენ ომის ტრავმასთან დაკავშირებულ პრობლემებს (რაც, პრინციპში, ლოგიკურიცაა).

საკვანძო სიტყვები: ქართველი და აფხაზი ქალი-ავტორები, ომის თეატრი, პოსტტრავმული მეხსიერების მოდელები, ქალური ეპისტოლეების სტილური მახასიათებლები.

Mariam Miresashvili²
Sokhumi State University

Models of Post-Traumatic Memory in the Discourse of Feminine Narrative

Abstract. More than three decades have passed since the Russian-backed Georgian-Abkhazian war, yet Georgian-Abkhazian relations remain a focal point of discussion, not only for politicians and sociologists but also for writers. Numerous authors have sought to reflect the dramatic events of 1992-1993, employing both dominant and alternative narratives. This article examines the works of Georgian and Abkhazian female authors from the 1980s-1990s generation who did not witness the war firsthand. Their narratives act as a counterforce to the suppression of traumatic memory, resisting the impulse to forget. These authors highlight the ambivalent nature of the war's participants by revisiting and reevaluating the past. The analysis is based on „Meeting“ (2023), a collection of stories by four Georgian and four Abkhazian authors.

² **Mariam Miresashvili.** Doctor of Philology, Professor of Sokhumi State University.

In the book's preface, the project's creators emphasize that while war is rarely depicted directly in these stories, it is ever-present, looming as a destructive force that shaped the authors' world-views for years to come. Indeed, the collection's contributors share common themes, a unified conceptual approach to war and traumatic memory, and stylistic elements characteristic of feminine writing, such as nonlinear narratives, streams of consciousness, open endings, and autobiographical or subjective perspectives to convey personal experiences. However, the above do not homogenize their stylistic characteristics. On the contrary, the Georgian and Abkhaz female authors present issues of war trauma through distinct styles and perspectives, enriching the discourse with their diverse approaches.

Keywords: Georgian and Abkhazian Female Authors, Post-traumatic Memory Models, Feminine Stylistic Characteristics.

შესავალი. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ; თუმცა დროის მიუხედავად, ზემოაღნიშნული მოვლენების ჭრილში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კვლავაც აქტუალური განხილვის საგნად რჩება არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის, სოციოლოგებისთვის, არამედ ლიტერატორებისთვისაც. 1992-1993 წლების დრამატული მოვლენების ასახვას, როგორც დომინანტი ისე არადომინანტი ნარატივების სახით, არაერთი მწერალი შეეცადა. მათ შორის არიან ისინი, ვინც თავად გადაიტანეს ომის სიმძიმე და ტრავმული მეხსიერების პრობლემა მათი შემოქმედების ნიშანდობლივ კონცეპტად იქცა; ასევე არიან ისინიც, ვინც არ ყოფილან მოვლენათა ეპიცენტრში, მაგრამ „შორიდან დანახული სიმართლით“ წარმოაჩინეს ომის ტრავმასთან დაკავშირებული პრობლემები. წინამდებარე სტატიაში გავაანალიზებთ 1980-1990-ანი წლების თაობის ქართველი და აფხაზი ქალი-ავტორების ნარატივებს, რომლებსაც *ომის თეატრი* არ უნახავთ; მათი მოთხრობები შეიძლება განვიხილოთ ტრავმული მეხსიერების ჩახშობის, *დავიწყების ნების* წინააღმდეგ მიმართულ აქტად, როდესაც ავტორები *იხსენებენ, გადააფასებენ* წარსულს და, ამასთან, წარმოაჩენენ ომის აქტორთა ამბივალენტურ ხასიათს.

ქალური ნარატივის დისკურსში პოსტტრავმული მეხსიერების მოდელებს წარმოვაჩენთ აფხაზი და ქართველი ავტორების მოთხრობების კრებულზე - „მეხვედრა“ (2023 წ.) - დაყრდნობით, რომელმაც გააერთიანა ოთხი აფხაზი (ასტანდა არძინბა, შანიზა ბგანბა, ნინა ეშსაუ, სირმა ფაჩულია) და ოთხი ქართველი ავტორი (დიანა ანფიმიადი, ნინი ბატიაშვილი, თამარ გეგეშიძე, ეკატერინე ტოგონიძე). პროექტის ავტორები, დაურ ნაჭყებია და გურამ ოდიშარია წინასიტყვაობაში აღნიშნავენ: „*ომი, როგორც ასეთი, ამ მოთხრობებში თითქმის არ გვხვდება. მაგრამ ყოველ მათგანში იგრძნობა, იკითხება*

როგორც ერთგვარი საშიში ფონი, როგორც შეუბრალებელი გამანადგურებელი ძალა, რომელმაც მომავალში ბევრი წლით განსაზღვრა ავტორების მსოფლმხედველობა“ (შეხვედრა, 2023: 5). სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ არ განვიხილავთ კრებულში წარმოდგენილი ორი ავტორის - მაზინა ბგანბას („თმას შერეული ჭადარა“) და სირმა ფაჩულიას („ცარიელი თვალები“) ნაწარმოებებს, რადგან ისინი არ მიემართება ომის კონცეპტს; თუმცა შევნიშნავთ, რომ პრობლემის აქტუალობით (ჰუმანიზმისა და შურისძიების გრძნობის ურთიერთმიმართების პრობლემა, ქალის ყოფა პატრიარქალურ საზოგადოებაში...) ისინი უთუოდ იმსახურებენ ყურადღებას. რაც შეეხება კრებულში წარმოდგენილ დანარჩენ ავტორებს, მათ აერთიანებთ იდენტური პრობლემები, ანალოგიური კონცეპტუალური ხედვა ომთან/ტრავმულ მეხსიერებასთან მიმართებით, ქალური მწერლობისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი კონცეპტები, როგორებიცაა: არალინეალური თხრობა, შემეცნების ნაკადი, ღია ფინალი, ავტობიოგრაფიულობის ელემენტები თუ სუბიექტური ხედვის კუთხე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გარკვეული მახასიათებლების გადმოსაცემად. თუმცა, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზი და ქართველი ავტორების ქალურ ეპისტოლეებში ნიველირებულია ავტორთა სტილური მახასიათებლები; პირიქით, ქალი-ავტორები განსხვავებული სტილითა და თვალთახედვით წარმოაჩენენ ომის ტრავმასთან დაკავშირებულ პრობლემებს (რაც, პრინციპში, ლოგიკურიცაა).

ტრავმული მეხსიერების სახით არის წარმოჩენილი ომის კონცეპტი დიანა ანფიმიადის მოთხრობაში „ანგელინას ომი“. თოთხმეტგვრდიანი მოთხრობის ნახევარზე მეტი აფხაზეთიდან ლტოლვილი ანგელინას საახალწლო სამზადისის აღწერას შეეხება: პროდუქტების გრძელი სიით სიარული ბაზრის დახლებს შორის და საბითუმო საწყობებში; „აბა, რა, ახალი წელი ხომ ერთხელა წელიწადში, ოჯახში კი სხვადასხვა კერძი უყვართ...“ (ანფიმიადი, 2023: 110). საახალწლო სამზადისიდან წარსულში, სხვა რეალობაში, ანგელინას დახლზე დადებული ღორის თავი გადაამისამართებს - გაშეშებული, საშიში, დაკვირვებული მზერიით: „ასე უყურებდა მამა, როცა ოთახში მკვდარი დახვდა, ჯერ თვალები უნდა დაეხუჭა და მერე პირი დაეხურა. ანგელინამ პირიქით ქნა, მამის გაშეშებულ მზერას გადაეყარა და თვალი ვერ მოსწყვიტა“ (ანფიმიადი, 2023: 12).

ბაზრიდანვე აეკიდა ანგელინას შემპარავი ხმა: „ბოლო კერძი რომ გათავდება, წაგიყვან“. სწორედ ამ ხმამ დააბრუნა ანგელინა თითქოს, მივიწყებულ, დამარხულ, გონებაში ფრაგმენტულად ჩარჩენილ სამი ათეული წლის წინანდელ მოგონებებთან: ათი წლის გოგონა ზღვისპირა ქალაქში; მშობლიური სახლი ფორთოხლის ბაღითა და ჰორტენზიის ბუჩქებით (ძალაუვნებურად

„აგეკიდება“ რემინისცენცია ედვარდ ვადი საიდთან: „ჩემი ორსართულიანი სახლი პალესტინაში... ბაღით“); ბერძნების გამგზავრება აფხაზეთიდან და მამის გადაწყვეტილება: „ჩვენ არსად წავალთ, მეტი საქმე არ მაქვს სხვის ქვეყანაში ვიცხოვრო... ბერძნებს არ ერჩიან“ (ანფიმიადი, 2023: 18). როდესაც ქუჩებში სროლამ იმატა, მამამ სანადირო თოფი გადაიკიდა და სახლიდან გავიდა; უკან მძიმედ დაჭრილი მოაბრუნეს. მამის სიკვდილისწინა სიტყვები ანგელინას მიემართებოდა: დედას უთხარი, გაგიყვანოთ აქედან. იმის მიუხედავად, რომ ანგელინას ბერძენ დედას (სწორედ ეროვნებამ გადაარჩინა სიკვდილს ის და მისი შვილები სახლში შემოსული მომხდურებისგან) ქალაქის დატოვება არ უნდოდა, მაინც იძულებული გახდა სხვა დევნილების მსგავსად, ტყვიებისგან დახვრეტილი ავტობუსით, ენგურის ხიდამდე მიეღწია. წლების შემდეგ, სამსახურიდან მობრუნებულ ანგელინას დედამისმა ჰკითხა: „ნეტავ, რომ დავრჩენილიყავით, მოვკვდებოდით? და ანგელინამ გაიგონა ის, რაც დედას არ უთქვამს: „ნეტავ, რომ მოვკვდები, დავბრუნდები?“ (ანფიმიადი, 2023: 23).

სწორედ ეს არის მოთხრობის საკვანძო ფრაზა, რომელიც გადმოგვცემს ანგელინას ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ომისშემდგომი ოცდაათი წლის განმავლობაში; როგორც დედამისისთვის, ისე ანგელინასთვის ომი ერთი დღითაც არ გაციებულა, არ დასრულებულა; ამიტომაც ეკითხება სიკვდილის შემპარავ ხმას ანგელინა: *ოშუ დაუსრულებელი რა მოვამზადო?* ამ კითხვაზე პასუხი სიკვდილსაც არა აქვს. ქალმა, თითქოს, ორი სხვადასხვა ცხოვრებით იცხოვრა: ერთი მხრივ, შემდგარი ოჯახი, მოსიყვარულე ქმარ-შვილი, გამორჩეული დიასახლისობა (ყველაფერი წესისამებრ), მეორე მხრივ კი, თავის მშობლიურ წიაღში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი (ავტორი მიზანმიმართულად იმეორებს რამდენჯერმე, სხვადასხვა პასაჟში: *სახლი ფორთოხლის ბაღითა და ჰორტენზიის ბუჩქებით...*). უაფხაზეთოდ მომავალი მორიგი ახალი წლის წინა დღეს ანგელინამ თავისი არჩევანი გააკეთა: მაცივარზე მაგნიტით მიაკრა ფურცელი წარწერით: *ასანთი არ გამოიყენო!*, სამზარეულოს ფანჯარა დახურა, გაზეურის ყველა სახელური გადაატრიალა და ძლივს გასაგონი შიშინის ფონზე ხახვის ქრა განაგრძო. ამგვარად დასრულდა ანგელინას ომი; იქნებ, სიკვდილის შემდეგ მაინც ეღირსოს თავის სახლში - *ფორთოხლის ბაღითა და ჰორტენზიების ბუჩქებით!* - დაბრუნება.

ანალოგიური განცდები განსაზღვრავს *ნინი ბატიაშვილის* მოთხრობის - „*მიფრინავენ თოლიები*“ - გმირის ყოფასაც. ნანუკა არდაშელიას ცხოვრება (ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ცხოვრების მსგავსად) ორად იყოფა: ომამდელი ფერადოვანი ბავშვობის მოგონებები და ომისშემდგომი ნაცრისფერი რეალობა. მოთხრობა პირველ პირში, დღიურის ფორმით არის

დაწერილი და ქრონოლოგიურად ოცდაათ (1990-2020 წწ.) წელს მოიცავს. სწორედ დღიურიდან ვიგებთ ნანუკასა და მისი უახლოესი აფხაზი მეგობრის, ასტანდა ინალიფას ბედნიერი ბავშვობის შესახებ; ასტას ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის - დედის გარდაცვალების - შესახებ; ვიგებთ, თუ როგორ შეცვალა ომმა მათი მშობლიური ოჩამჩირე: „*მთელი ქალაქი ერთ დიდ, მგლოვიარე ოჯახს დაემსგავსა*“ (ბატიაშვილი 2023: 45). აღსანიშნავია, რომ როდესაც საშიშროება რეალური გახდა, სწორედ ინალიფების ოჯახი დაეხმარა ქართველ მეზობლებს ქალაქის უსაფრთხოდ დატოვებაში.

ნანუკას ომისშემდგომი ცხოვრება ჩვეული რიტმით წარიმართა: ლტოლვილობის ყოფითი და ფსიქოლოგიური პრობლემები, სტუდენტობა, პირველი სიყვარული, გათხოვება, ოჯახი, გოგონას შეძენა, რომელსაც მეგობრის საპატივცემულოდ ასტა დაარქვა... ნანუკა მთელი ცხოვრების განმავლობაში ლამობს მშობლიურ ოჩამჩირესთან კავშირის შენარჩუნებას. საყურადღებოა, რომ ნანუკას მამაც არ აძლევს საკუთარ თავს აფხაზებზე აუგის თქმის უფლებას; მისი თქმით, „...*მე ორივე მხარის დაღუპულებს მივაგებ პატივს, ყველამ თავისი მშობლიური მიწა-წყლისთვის იბრძოლა*“ (ბატიაშვილი 2023: 63). დღიურის ბოლო ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ნანუკა უკუბრუნებულმა სენმა შეიპყრო. ამ მდგომარეობაში მყოფი, იგი აცნობიერებს, რომ დათვლილი დღეები დარჩა და იღებს მისი მეუღლისა და შვილისთვის სრულიად გაუგებარ (და მიუღებელ!) გადაწყვეტილებას: „*ჩვენ ვერასოდეს ვირჩევთ ადგილს, სადაც ვიბადებით, მაგრამ ხანდახან, თუკი ძალიან გაგვიმართლებს, შეგვიძლია ავირჩიოთ ადგილი, სადაც მოვკვდებით. მე ჩემი არჩევანი ბევრი, ბევრი წლის წინ გავაკეთე - სახლში მოვდივარ!*“ (ბატიაშვილი 2023: 69).

ნანუკას ბოლო დღიურის (რიგით 98-ე!) უკანასკნელი ჩანაწერი ასტას მიემართება: „*მხოლოდ ერთსა გთხოვ, რომ ჩამოვალ, ჩამიკარი გულში, არ დამიტირო... მეთამაშე იმ უსასრულობამდე, რომელიც დაგვრჩა და მერე გამაცილე ჩემებთან, შენებთან, ჩვენებთან*“. ანგელინას მსგავსად, ნანუკაც მშობლიურ წიაღს უბრუნდება, რადგან სახლიდან წამოსვლის შემდეგ იგი არასოდეს ყოფილა მთელი და მისი ღრმა რწმენით, „...*სიკვდილის წინ, თუნდაც ცოტა ხნით მაინც, ყველა ადამიანი იმსახურებს გამთლიანებას*“ (ბატიაშვილი 2023: 70).

თამარ გეგეშიძის მოთხრობის - „*ყველაფერი მიწის ბრალია*“ - ნარატორი სკოლის მოსწავლეა, რომელსაც აღიზიანებს მასწავლებლის მიცემული დავალება, თუ რატომ არის სამშობლოს სიყვარული მტანჯველი გრძნობა. თავად ელენეს ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებს, რადგან გადაწყვეტილი აქვს სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს დატოვება; შესაბამისად, მიაჩნია, რომ მისი ქვეყანა ის გახდება, სადაც დასახლდება. რაც შეეხება მოგონებებს,

მოითმენს და შეინახავს; უფროსებიც ხომ ასე იქცევიან. ელენემ ადრეულ ასაკშივე გააცნობიერა, რომ დედა და ბებია უფროსიან მასთან წარსულის მოგონებებზე საუბარს. დედას საკუთარი პოზიცია აქვს ჩამოყალიბებული ამასთან დაკავშირებით: „ამდენი წელია ჩემად რომ ვარ, შემთხვევითობა გგონია?...უბრალოდ, ვცდილობ, კარგი და ძვირფასი არაფერი გავიხსენო და ფიქრები ახლოს არ მოვუშვა...თუმცა ყველა ერთნაირად არ ცხოვრობს, ზოგს ლაპარაკი ურჩევნია, ზოგს მოგონებებში ცხოვრება და ზოგსაც ტირილი“ (გეგეშიძე 2023: 107). რაც შეეხება ბებიას, იგი სხვაგვარად ფიქრობს; მიაჩნია, რომ ვიღაც უნდა უფროსილდებოდეს იმ ყველაფერს (მათ შორის, მოგონებებს), რასაც თავად უფროსილდება; ამიტომაც უყვება ელენეს ორ მეგობარზე, რომლებმაც მშობლებისგან მალულად ერთ-ერთის ეზოში ღამით დარგეს მაგნოლია იმ იმედით, რომ დილით აყვავებული ხე დახვდებოდათ; ამიტომაც ათვალიერებინებს ელენეს ძველი ფოტოსურათების ალბომს (როცა დედა სახლში არ არის) და უხსნის, ვინ ვინაა.

ბებიის გარდა, მისთვის საინტერესო კითხვებზე ელენე პასუხს მეზობელთან, სიმონთანაც პოულობს, რომელსაც საათობით შეუძლია საუბარი სოხუმური ცხოვრების წესსა და მის საუკეთესო მეგობრებზე - ალხაზზე და ხიბლაზე. ზემოთ გაანალიზებული მოთხრობების გმირების მსგავსად, სიმონი კი არ ცხოვრობს, არამედ უბრალოდ განაგრძობს არსებობას სხვა დროსა და სივრცეში და თავადაც აცნობიერებს ამას; აივანზე მყოფმა, ერთხელ ელენეს უთხრა: „შეხედ, ელენე, რამდენი ხალხია, მაგრამ ჩემთვის ყველა უცხოა! მთელი დღეა ვაკვირდები და ერთ ნაცნობსაც ვერ მოვკარი თვალი“. ცხადია, სიმონისთვის ამგვარი რეალობა უცხოა, რადგან სოხუმში, სადაც ის ომამდე ცხოვრობდა, „ერთი კილომეტრი თუ იქნებოდა მთავარი ქუჩა, მაგრამ იმდენ ნაცნობს ხვდებოდი, ერთი საათი მაინც გინდოდა, რომ თავიდან ბოლომდე ჩაგველო“ (გეგეშიძე 2023: 109). სიმონი განიცდის იმას, რაც მოხდა, თუმცა თავადაც აოცებს ის ფაქტი, რომ ყოველივეს შემდეგ „...თავს უცხო ადამიანებად არ ვგრძნობთ. ალბათ, მიწის ბრალია, რომელმაც ერთნაირად გამოგვკვება და ერთი პური გვაჭამა... ომი ერთი დიდი სიძულვილია, მაგრამ ხანდახან... ხანდახან... ძვირფასი ადამიანის გახსენებაზე ეს სიძულვილი სადღაც ქრება“ (გეგეშიძე 2023: 111). ნაწარმოების კონცეფციას მოთხრობის ფინალში ელენე ახმოვანებს: „ბებია, ტამიში, დედა, გზა, სიმონი, სოხუმი, მასწავლებელი, სანაპირო, ალხაზი, ომი, უღელტეხილი, თავშესაფარი, სევდა, საგვარეულო ხე - ყველაფერი ფაზლივითაა და მე აწყობას ვცდილობ... მე ვერაფერს შევცვლი, ამიტომ მხოლოდ ამ ტვირთის ტარება და გაფრთხილება შემიძლია“ (გეგეშიძე 2023: 116).

რაც შეეხება *კატერინე ტოგონიძის* მოთხრობას „განახლება“, მისი სიუჟეტი ქრონოლოგიურად რვა დღეს მოიცავს და სამი პერსონაჟის ურთიერთობაზეა აგებული: საბას, დედამისის - ნინოსა და დედის ახალი მოსწავლის - თემოსი (თავად ავტორის შენიშვნით, ერთგვარი თანავარსკვლავედი - ტრინანგულუმი იქმნება). მამის დასწავლევამ და გარდაცვალებამ ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა საბას. მას სურს, პირნათლად შეასრულოს მამის და-ნაბარები: „დედას და ქეთის შენ უნდა მიხედო“; იქნებ, ამიტომაც აქვს გამახვილებული ეჭვიანობის გრძნობა დედის მიმართ: არ მოსწონს, რომ მისი ახალი მოსწავლე, თემო, გაკვეთილებზე დედამისს ვიდეოს უღებს, წასვლისას ხელს ჰკიდებს საკიდზე ჩამოკიდებულ დედის ლაბადას, მანტოს თუ ჟაკეტს... საბას არ მოსწონს, რომ დედამისი, ერთი მხრივ, წუწუნებს მომატებულ ფასებზე და მეორე მხრივ, კოლეგას ეუბნება, რომ ახალ მოსწავლეს (რომელთან მუშაობა, თურმე, ერთი სიამოვნებაა) ფულს ვერ გამოართმევს.

შევნიშნავთ, რომ მამის დანაბარების გათვალისწინებითაც, საბას აკვიატებულ ეჭვიანობას აშკარად აკლია მოტივაცია; ვგულისხმობთ, რომ დედისადმი უნდობლობას წარსულში მომხდარი რაიმე ქმედება/ფაქტი უნდა ედოს საფუძვლად, რაც ნარატივში არ დასტურდება. ფსიქოლოგიურად არადამაჯერებელია (და გაუმართლებელიც!), რომ ეჭვიანობის ნიადაგზე საბა მზად არის დედის მოსწავლე მოკლას; თემოსთან „საქმის გასარჩევად“ წასული, იგი ზურგჩანთაში მამის იარაღის ჩაიდებს; ანუ, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიმეტებს თანატოლს. საბედნიეროდ, მისი დის დაკვირვებულობის და მოხერხების წყალობით, ადგილზე მისული, საბა ზურგჩანთაში იარაღს კვლარ ადმოაჩენს.

საბა ზოოპარკის უკანა ტერიტორიაზე დაიბარებს თემოს მისი „დაკარგული“ (სინამდვილეში, საბას მიერ აღებული) მობილურის დასაბრუნებლად, რათა ერთადერთ კითხვაზე მიიღოს რელევანტური პასუხი: რა უნდა ამ უცნობ ბიჭს დედამისისგან. ზოოპარკის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების თავდასხმას გადარჩენილი ბიჭები (თემოს ინიციატივით გადავლენ ხევზე ჩაკიდულ წყლის მიღზე), ერთმანეთთან საუბარში გაარკვევენ, რომ თემო აფხაზია (ტიმურ ნაჭყებია); რომ მობილურით ნინოს გაკვეთილებს იმიტომ იწერს, რომ მხედველობის პრობლემა აქვს და რვეულში ჩაწერა არ შეუძლია (უნივერსიტეტშიც ლექციებს ვიდეოთი იწერს); რომ კლავიატურაზე ხმოვანი პროგრამა აქვს დაყენებული, რათა მესიჯების გაგზავნა შეძლოს; რომ თბილისში სამედიცინო პროგრამით ჩამოვიდა (სწავლა მერე გადაწყვიტა) და ელოდება უცხოელი ექიმის ჩამოსვლას ოპერაციის გასაკეთებლად (შევნიშნავთ, რომ ეს დეტალიც გაუგებარია, რადგან აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებს სწორედ

ქართველი ექიმები უწევენ უფასოდ სამედიცინო დახმარებას; ცხადია, მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში კორექტირების უფლება არ გვაქვს, მაგრამ ეს დეტალი იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ თემო ქართველ სპეციალისტებს არ ენდობა?!). გაოგნებული საბა მხოლოდ საუბრისას აღმოაჩენს, რომ ნახევრადბრმას ენდო ხევში ჩაკიდულ მიღზე გადასვლისას; მიხვდება, თუ რატომ აყოლებდა თემო კედელს და საკიდს ხელს მათი ბინიდან გასვლისას (და ამ დროს ნინოს ტანსაცმელს ეხებოდა).

ზოოპარკიდან წამოსული ბიჭები, თითქოს, მზად არ არიან საბოლოო განმორებისთვის; საბას სიტუაციის განმუხტვა სურს, ინიციატივას იჩენს და თემოს სთავაზობს კეკელიძემდე აცილებას, სადაც ის ბინას ქირაობს. საუბრისას ბიჭები აღმოაჩენენ, რომ საერთოც ჰქონიათ (კვარას და ნოდარ დუმბაძის სიყვარული); რომ თემოს ნათქვამს - „გავიგე, რომ ვერ გვიტანთ... აფხაზებს!“ - თითქოს, ანეიტრალურს თბილისში მცხოვრები ქალების ქცევა; როცა გაიგებენ, რომ სოხუმელია, გულში იხუტებენ. შევნიშნავთ, რომ ეს პასაჟი არადამაჯერებლად გვეჩვენება, თუკი გავიხსენებთ აგრესიულ დამოკიდებულებას დედაქალაქში ჩამოთრეული ლტოლვილების მიმართ, რამაც, გარკვეულწილად, ლიტერატურაშიც პოვა ასახვა (მაგ., ეკა ქევანიშვილის „აქ ნუ დადგებით!“³, ლია ტოკლიკიშვილის „ნიუტონას დღიური“)³. დიალოგში აღმოჩნდება ბიჭების განსხვავებული დამოკიდებულება ომის მიმართ; თემოს, მაგალითად, არ ესმის და აღიზიანებს კიდეც, თუ რატომ უწოდებენ ქართველები აფხაზებთან ომს *ქართულ-რუსულ კონფლიქტს*; საბას ნეიტრალურ პოზიციაზე - *ალბათ იმიტომ, რომ რუსების პროვოცირებული იყო (ანუ, აგრესიის გადატანა რუსებზე)* - გაღიზიანებული პასუხობს: „ჰაჰ... და ჩვენ არ ვარსებობთ? ჩვენი აზრი არ გაგვაჩნია?... ეს ჩვენი ომი იყო, ჩვენს შორის“. საბოლოოდ, ბიჭები თანხმდებიან იმაზე, რომ „ჩვენი ომი ჩვენი დასამთავრებელია“ (ტოგონიძე 2023:188). მოთხრობას ღია ფინალი აქვს: სახლში მიბრუნებული საბა ადგილს ვერ პოულობს; ბოლოს, მესიჯს გაუგზავნის თემოს, რომ კვლავ იაროს დედამისთან გერმანულის გაკვეთილებზე; რომ მისი მოსვლა დედამისსაც გაუხარდება და მასაც.

საინტერესოა ნინა ეშაუს „თალი“, რომელიც პირდაპირ არ მიემართება ომის კონცეპტსა და ტრავმულ მეხსიერებას, მაგრამ საოცარი ლირიზმითა და

³ საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ აღნიშნული ტექსტები: ე. ქევანიშვილი, *აქ ნუ დადგებით*, ელმისამართი: <https://poetry.ge/pages/eka-kevanishvili/poems/zczec-aq-nu-dadgebti>; ლ. ტოკლიკიშვილი, *ნიუტონას დღიური*, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2023.

ფსიქოლოგიზმით გაჯერებული მოთხრობის სიუჟეტი ომისშემდგომი ზამთრის სოხუმის ჩანახატების ფონზე იშლება. მოთხრობის მთავარი გმირი სოხუმის მთაზე, შარვაშიძეების ულამაზესი „ვილა ჩემის“ მახლობლად ცხოვრობს დედასთან ერთად; იგი პიანისტია და კონტაქტობს მხოლოდ მეზობელთან - ლამარასთან, რომელსაც ომსგადარჩენილი ერთადერთი შვილი - ზურაბი ჰყავს (როგორც ამბობენ - ნარკომანი). ცისფერთვალეა და მოუსვენარი მზერის მქონე ლამარასგან განსხვავებით, მის მკერდზე ოვალურ ჩარჩოებში ჩასმული სამი სახე - რობიკი, თემო და ალხასი - გულგრილად იცქირება; „მათი მზერა მოკლეა, ისევე როგორც ხანმოკლე იყო მათი ცხოვრება“ (პირველი შეხება ომის კონცეპტთან). ომისშემდგომი ჩაბნელებული სოხუმი; „ქალაქი ნახევრად ცოცხალია, ან ნახევრად სძინავს, ან ისე ღრმად სძინავს, რომ ვერ ახერხებს გაღვიძებას“ (ეშსაუ 2023: 120); სწორედ ამგვარ ქალაქში, ზამთრის ერთ დღილას გამოდვიძებული თალი აღმოაჩენს, რომ დედამისი სახლში არ არის. მთელი დღის განმავლობაში თალი დედამისს ქალაქში ეძებს და საღამო ჟამს, ნერვებს აყოლილი, პიანინოზე შუბერტის დაკვრით ცდილობს სულიერი წონასწორობის აღდგენას. მის მიერ დაკრული შუბერტი აღიზიანებს მეზობელ ზურაბს, რომელიც ქვედა სართულიდან არ დაიზარებს ამოსვლას; სწორედ მისგან გაიგებს თალი, რომ დედამისი ლამარასთან ერთად გაემგზავრა დილით სოფელში: „ჰამლეტი მოკვდა. ამბობენ, თავი მოიკლაო... ომის შემდეგ კონტუზია ჰქონდა“ (ეშსაუ 2023: 130); ამ პასაჟშიც, როგორც ვხედავთ, კვლავ გაკვრით იჩენს თავს ომის კონცეპტი.

რამდენიმეწუთიანი დიალოგი თალის შეაცვლევინებს აზრს მეზობლის შესახებ; აღმოჩნდა, რომ ეს ცისფერთვალეა, ინდიფერენტული გამოხედვის მქონე ახალგაზრდა კაცი ევტუშენკოსაც კითხულობს და თალის მიერ დაკრული შუბერტის შეფასებაც შეუძლია. რაც მთავარია, თალი იგებს მისთვის უცნობ ისტორიას ზურაბის სიყვარულის შესახებ ვინმე ვარიას მიმართ, რომელიც არაჩვეულებრივად უკრავდა შუბერტს. ზურაბმა იგი ვერ მოიყვანა ცოლად, რადგან ლამარამ დაიფიცა: „მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ! ჩვენს ოჯახში რუსი არ იქნება!“ (ეშსაუ 2023: 132). ამგვარად, მოთხრობის დასაწყისში გაჟღერებული თეზა, რომ აფხაზეთში უბედური კაცების დედები სწრაფად ბერდებიან (ქალის ბედი პატრიარქალურ საზოგადოებაში!) დამატებით შინაარსს იძენს; კერძოდ, არც კაცები არიან თავისუფალნი არჩევანში; ისინიც იზღუდებიან პატრიარქალური წესებისადმი ანგარიშის გაწევის გამო. ნინა ეშსაუს მოთხრობასაც ღია ფინალი აქვს; ნახევრადმძინარე თალი იმ ფიქრით იძინებს, რომ ისიც შეძლებს ვარიასავით შუბერტის დაკვრას; რომ მისი ურთიერთობა ზურაბთან კვლავაც გაგრძელდება.

გამორჩეულად საინტერესოა ასტანდა არძინბას „კვანტური კავშირები“. ტექსტი შემეცნების ნაკადზეა აგებული: ბაბუას სახლი ოთხარაში, ძველი ბაბინებიანი მაგნიტაფონის აღმოჩენა, ომის დროს ჩაწერილი ინტერვიუ მამასთან და მოგონებები, მოგონებები... მოთხრობის გმირს, პროფესიით ჟურნალისტს, იმის მიუხედავად ახსოვს ომი, რომ იმ დროს მხოლოდ სამი წლის იყო. მის მეხსიერებას შემორჩა ოჯახის წევრებთან ერთად ტყეში გახიზვნა და დაუსრულებელი კანონადა. ომის შესახებ მან მოგვიანებით გაიგო დედისგან (მამა ამ თემაზე არ საუბრობს) და ვეტერანი რესპონდენტების მონათხრობებიდან. საყურადღებოა, რომ ასტა არ არის თავისუფალი ომის ფობიებისგან; იგი აცნობიერებს, რომ „ეს ჯერ კიდევ მტკივნეული თემაა ადამიანებისთვის“ (არძინბა 2023: 30). მას პერიოდულად ესიზმრება ოთხარის დაბომბვა; შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა *ახალი ომის* დაწყების შემთხვევაში; ნერვიულობს, რომ ამჯერადაც სინოპის მხრიდან შემოვლენ საქართველოდან ჯარები (არადა, სინოპში მუშაობს მისი ძმა, გოგი). ასტა არ მალავს, რომ თავდაპირველად, როდესაც სკოლაში ასწავლიდნენ, რომ ომი მოიგეს და აფხაზებმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიბრუნეს, იგი ამაყობდა; თუმცა, დროთა განმავლობაში, ასაკის მატებასთან ერთად, მისმა აღფრთოვანებამ იკლო, რადგან ისეთი დეტალები გაიგო ომისა და მისი შედეგების შესახებ, რომლის გაგებაც არ სურდა.

ძალზე საყურადღებოა ერთი დეტალი, რომელშიც ასტას გარდაცვლილი დედის დამოკიდებულება იკვეთება ქართველების მიმართ; მან გოგი დაარქვა უმცროს შვილს თავისი ნათლიის პატივსაცემად (ამ უკანასკნელს აფხაზეთის დატოვება უღელტეხილით მოუწია); არადა ყველას ეგონა, რომ ჟორა ბაბუას პატივსაცემად დაარქვა (ეს დედის ეშმაკური გათვლა იყო). ომის შემდეგ თურმე გოგის დაურეკავს მათ ძველ ბინაში, მაგრამ ახალ მეპატრონეებს უთქვამთ, აქ არ ცხოვრობენო. ასტას დედა მთელი დარჩენილი ცხოვრება დარდობდა: ალბათ, გოგიმ იფიქრა, რომ მისი ცნობა არ მინდა; არადა მთელი ცხოვრება ენატრებოდა ნათლიამისი.

ასტასთვის სერიოზული განსაცდელი აღმოჩნდა დედამისის გარდაცვალება; ამ ფაქტმა განაპირობა მისი მხრიდან სერიოზული დაფიქრება *მარადისობასთან* დაკავშირებით: „მე, რომელსაც არ მჯერა სამოთხისა და ჯოჯოხეთის, არასოდეს, არცერთ სამყაროში აღარ ჩავეხუტები დედას?“ ბუნებით აგნოსტიკოსმა, მან ვერც ეკლესიაში პოვა შვება, რადგან ყველა კითხვაზე ვერ მიიღო პასუხი, რომელიც აწუხებდა. ამგვარ ძიებებში მყოფმა, ასტამ საბოლოოდ, მეცნიერებაში იპოვა გარკვეული მინიშნებები; კერძოდ, დირაკის განტოლებამ მას აღმოაჩენინა *ცხოვრების კვანტური კავშირის წესი*: „ორი ნაწ-

ილაკი, რომელიც რაღაც მომენტში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ყოველთვის დაკავშირებული იქნება, მიუხედავად მათ შორის მანძილისა, მაშინაც კი, თუ ისინი სამყაროს საპირისპირო წერტილებში არიან... ასე დაგვემართა ჩვენც და ომსაც, რომელთანაც სამუდამოდ ვართ დაკავშირებული... უკვალოდ არაფერი ქრება“ (არძინბა 2023: 40). ამგვარად, დრო არ არის ისეთი წრფივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს; ის, რაც ვიღაცას ოდესღაც დაემართა, უკვალოდ არ გაქრება; ის ყოველთვის იარსებებს: მაგნიტაფონის ბაბინაზე, შენს მეხსიერებაში ან შენს გულში. ვფიქრობ, ასტანდა არძინბას ცხოვრების კვანტური კავშირის წესი, ფაქტობრივად, მთელი კრებულის სულისკვეთებას წარმოაჩენს, მისი კონცეპტუალური გზავნილია.

დასკვნა. ამგვარად, კრებულში წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, პიერ ნორას მიერ გამოთქმული მოსაზრების სისწორეში; რომ კოლექტიური მეხსიერება წარმოადგენს დამახსოვრებისა და დავიწყების დიალექტიკურ ერთიანობას და იგი მუდმივ ევოლუციას განიცდის; რაც შეეხება ისტორიას, იგი რეკონსტრუქცია და რეპრეზენტაციაა (მუდამ საკამათო და დაუსრულებელი) იმისა, რაც უკვე აღარ არსებობს (Nora 1989: 8). მიგვაჩნია, რომ ქართულ და აფხაზურ ლიტერატურულ დისკურსში ტრავმული-/პოსტტრავმული მეხსიერების და მასთან დაკავშირებული ხსოვნის ფუნქციის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია; ჯეროვანი ოლიკის მართებული შენიშვნით, სწორედ კოლექტიური მეხსიერება აკავშირებს ერის მენტალიტეტს: „ხსოვნა არის ჩვენი არსების უმთავრესი ნიჭი; ის არის წარსულსა და აწმყოს შორის მიმდინარე დიალოგი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მყოფადობას“ (ოლიკი 2016: 10). სამწუხაროდ, დღესდღეობით ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის დიალოგის სიმწირეზე გვიხდება საუბარი; ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა კი, აფხაზური მედიის მხრიდან საქართველოს აგრესიორ ქვეყნად წარმოჩენის წინაპირობას ქმნის. არსებული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი დიალოგის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის კულტურული დიალოგის გააქტიურებაა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი გონივრული მიდგომების, მართებული გზების შერჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანფიმიადი (2023): დ. ანფიმიადი, ანგელინას ომი, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, თბილისი;

- არძინბა (2023): ა. არძინბა, კვანტური კავშირები, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- ბატიაშვილი (2023): ნ. ბატიაშვილი, მიფრინავენ თოლიები, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- გეგეშიძე (2023): თ. გეგეშიძე, ყველაფერი მიწის ბრალია, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- ეშსაუ (2023): ნ. ეშსაუ, თალი, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- ოლიკი (2016): ჯ. ოლიკი, მეხსიერება და იდენტობა პოსტსაბჭოთა სივრცეში: საქართველო და კავკასია აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში. 10.-2016. თბილისი. ელექტრონული რესურსი: <https://iliauni.edu.ge/.../-profesor-djefri-oliki-sadjaro-leqcia-mexsiereba-dinamikashi.pag>.
- ტოგონიძე (2023): ე. ტოგონიძე, განახლება, წიგნში: *შეხვედრა. აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული*, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- შეხვედრა (2023): შეხვედრა, აფხაზი და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული, გამომცემლობა „ქართული ლიტერატურული ინიციატივა“, თბილისი;
- Nora (1989): P. Nora, Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory. (Spring, 1989), Representations is currently published by University of California Press. Stable URL: <http://links.jstor.org/sici?sici=07346018%28198921%-290%3A26%3C7%3ABMAHLL%3E2.0.CO%3B2-N>